პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის -- ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

კომისიის თავმჯდომარე ა. ღიბრაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482428546**
თარიღი: **11/10/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გიგზავნით, 2024 წლის მესამე კვარტლის, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესრულების ანგარიშს.

პატივისცემით:

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესრულების ანგარიში

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სარეზერვო ფონდი, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 67 - ის შესაბამისად წარმოადგენს გაუთვალისწინებელ, საგანგებო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ სახსრებს.

სარეზერვო ფონდის მიზანია წლის განმავლობაში წარმოქმნილი ისეთი ხარჯების დაფარვა, რომელთა გათვალისწინებაც ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელი იყო ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

სარეზერვო ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, სარეზერვო ფონდი განსაზღვრული იყო 100 000 ლარით. მ/შ -ის მესამე კვარტლის გეგმა შეადგენდა 25 00 ლარს. სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წლის დასაწყისიდან განაღდებულმა ხარჯმა შეადგინა 20 000 ლარი. მ/შ -ს მესამე კვარტალში მერის ბრძანების შესაბამისად გამოყოფილია და დახარჯულია 3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ძალისმიერი სპორტის ტიტულოვანი სპორტსმენის თამაზ კუჭავას- საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობისთვის.

თანხის გაცემა განხორციელდა ერთჯერადი დახმარების სახით.